პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 9 აგვისტო № 183 (17826) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სიჯანსაღისა და რეკორდების წყარო

ნლეულს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს გამორჩეული ელფერი დაკრავს, განსაკუთრებით სიამაყითა და ხალისით აღვნიშნავთ მას. საამისო საფუძველი კი მართლაც გვაქვს — სულ ახლახან მოსკოვში ხომ ღირსეული მასპინძლობა გაუწია ოცდამეორე ოლიმპიურ ასპარეზობას — ოთხწლიანი მსოფლიო სპორტული მოძრაობის ამ უდიდეს შემაჯამებელ ფორუმს, კუნთმაგართა და სულით ძლიერთა ფესტივალს, რომლის ორგანიზაცია ყველა ქვეყანას როდი რგებია პატივად.

ფიზკულტურა და სპორტი მშვიდობისმოყვარე, პროგრესული კაცობრიობის ასპარეზია, სპორტი მშვიდობის დესპანია. ამასვე ქადაგებს ოლიმპიური ქარტიაც და შეუძლებელია ერთი მუჯა დიქტატორებისა თუ რეაქციონერების ხუშტურებს შეეწიროს იგი. ეს ნათლად დაამტკიცა მოსკოვის დიდმა სტარტებმა, რომელმაც ლახვარი ჩასცა აშშ-ის პრეზიდენტისა და მისი თანამოაზრეების მიზანს — ჩაეშალათ, ან მათთვის უარეს შემთხვევაში — გაეუფერულებინათ XXII ოლიმპიური ასპარეზობა; წაგებულნი დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებმაც ეს იდეა აიტაცეს და ამით მხოლოდ საკუთარი თავი დაამარცხეს.

მოსკოვის ოლიმპიადაზე ხუთიოდ კონტინენტის 81 ქვეყნის 7 ათასამდე სპორტსმენმა არა მარტო სპორტულ, მეგობრულ პაექრობაში მოსინჯა ძალები, არა მარტო ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები დაამყარა, არამედ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაშიც შეიტანა წვლილი.

მიესალმა რა 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებსა და სტუმრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა კავშირში გულწრფელად პატივს ვცემენ და განუზრახლად უჭერენ მხარს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას. ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში მუდამ იყო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ჩვენი ხალხის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი“.

და, მართლაც, ძნელია ნახოთ სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც ასე უყვარდეთ სპორტი, სადაც ამდენი მიმდევარი ჰყავდეს ფიზიკური კულტურას. საბჭოთა კავშირში დღეს ხომ 100 მილიონზე მეტი ფიზკულტურელი და 20 მილიონზე მეტი მშრომელი კომპლექსის ნიშნოსანია.

ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამ საერთო მიღწევებში საგრძნობია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა, შესაბამის სპორტულ ორგანიზაციათა წვლილი.

ქართული სპორტის მიღწევები კარგა ხანია საყოველთაოდაა ცნობილი. გივი კარტოზიას და ლევან თედიაშვილის, ნონა გაფრინდაშვილისა და ზაირ ჩიბურდანიძის, ვიქტორ სანეევისა და სხვათა სახელებს განსაკუთრებული კრძალვით წარმოთქვამენ სპორტულ საუბრებში. მათ სხვადასხვა ასპარეზობაში ჭეშმარიტი სპორტული ვირტუოზობა აქვთ ჩადენილი. მარტო ჩვენი სასიქადულო ძმლეოსნის ვიქტორ სანეევის მაგალითი რად ღირს. საბჭოთა სპორტს არ ახლავს მსგავსი პრეციდენტი — მეხიკოს, მიუნხენისა და მონრეალის რემპიონმა მოსკოვის ოლიმპიადაშიც მიიღო მონაწილეობა და ვეტერანთა ძალი, რომელიც აქ მოიპოვა, საერთო აღიარებით ოქროს ტოლფასი იყო, ყოველივე ამას ვ. სანეევმა დაუღალავი შრომით, სპორტისადმი ფანატიკური სიყვარულით და უკიდურესი მოთმინებისის საფუძველზე მიაღწია. მაგრამ სანეევი გამონაკლისი არ ყოფილა ოლიმპიადაზე. საქართველოდან წარგზავნილმა სპორტსმენებმა სულ სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მათგან ცალკე გვინდა გამოვყოთ აფსაზი ქალიშვილი, შუბის ტყორცნაში ვერცხლის მედლის მფლობელი საიდა გუმბა, რომელიც დიდ სპორტში სწორედ ფიზკულტურული სარბიელიდან მოვიდა; იგი ხომ მშთ კომპლექსის საკავშირო პირველობის ჩემპიონი გახლდათ თავის დროზე.

აი, რა მნიშვნელობას იძენს ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს ცხოვრებაში, აი, რას შეუძლია მიაღწიოს ფიზკულტურელმა, თუ იგი მთელ თავის შესაძლებლობებსა და მეცადინეობას ჩაჰქსოვს დასახული მიზნის განხორციელების საქმეში.

მაგრამ ფიზკულტურას სხვა დიდი ამოცანაც აკისრია: იგი მიზნად ისახავს ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდას, ამ მხრივ კი ჩვენს რესპუბლიკაში პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული, ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოების თაოსნობით ბევრი სასიკეთო რამ კეთდება. განსაკუთრებით გამოცოცხლდა ფიზკულტურული მოძრაობა უკანასკნელ წლებში. ამის დასადასტურებლად ის ფაქტიც იკმარებს, რომ დღეს რესპუბლიკაში 1780 ათასი, ე. ი. შარშანდელთან შედარებით 80 ათასით მეტი ფიზკულტურელია, ხოლო მიმდინარე წლის მშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა უკვე 88 პროცენტით არის შესრულებული. შედარებით პოპულარული გახდა საოჯახო ფიზკულტურაც, რომლის შარშან გამართულ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში 2253 „გუნდი“ მონაწილეობდა.

ფიზკულტურული მოძრაობის კარგი ტრადიციები და მიღწევები აქვთ თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის სანაზრდო გაერთიანებაში, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, ბათუმის ხის დამუშავებელი ქარხანაში, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში და სხვაგან, სადაც ადგილობრივი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია ფიზკულტურული კლუბები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ორგანიზაციები, რომელთა პარტიულთა და სამეურნეო ხელმძღვანელობა თავის მუშაობაში მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევს ფიზკულტურულ მოძრაობაში მუშაობისმასსაზრეთა და კოლმეურნეობის ჩაბმას. მაგალითისათვის უნდა დავასახელოთ თბილისის რძის კომბინატი, ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის კოლმეურნეობა, საქართველოფლტექნიკის ხაჩერის განყოფილება და ღვინის ქარხანა, სადაც უკანასკნელ ხანს მშთ კომპლექსის არც ერთი ნიშნოსანი არ ყოფილა. ამ ორგანიზაციებში ფიზკულტურული მოძრაობა ფეხზე ვერ ადგებიან. არადა, ყოველივე ამან თავისთავად შეიძლება უარყოფითი ასახვა ჰოოს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საწარმოო გეგმების შესრულებაში.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საერთოდ რესპუბლიკაში სანაცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობასთან მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხს, რომლის თანაბარზე მიმდინარე წლის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცალკე იმსჯელა. მართალია, უკანასკნელ ორ წელიწადში ასეთი კლუბების რიცხვი ორჯერ გაიზარდა, მართალია ოვით ამ ღონისძიების შემდეგ ფიზკულტურული მუშაობის ამ უბანზე გარკვეული გამოცოცხლება იგრძნობა, მაგრამ ალბათ ახლოვდება დრო, როცა ამ მხრივ გაწეული მუშაობის პირველი შედეგები უნდა შეაჯამონ და საქმიანად გააანალიზონ შესაბამისმა ორგანიზაციებმა, ვნახონ, რა ტემპით მიმდინარეობს მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მშენებლობა, განსაკუთრებით აჭარის ახს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ტყიბულში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში, სადაც დიდი საცხოვრებელი მასივები და მიკრორაიონები შენდება.

როცა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაზე ვსაუბრობთ, ერ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი მოსახლეობის საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. რესპუბლიკაში ალბათ არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით არ იყოს დაინტერესებული, რომელსაც ამა თუ იმ სპორტსმენისა თუ გუნდის წარმატება და წარუმატებლობა გულთან არ მიჰქონდეს. ამის გამო სპორტული კოლექტივების ხელმძღვანელები, განსაკუთრებით ამა თუ სხვადასხვა სახეობის სპორტული გუნდების უფროსი მწვრთნელები საწოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტს არ უნდა გაუბმიდნენ.

მიმდინარე წელი ოლიმპიური წელი იყო მილიონობით ადამიანისათვისაც და აკი ამბტომაც გამოჩნდა ჩვენში დეფიზი—„ოლიმპიური წელი არა მხოლოდ ოლიმპიელთათვის“. ამ დევიზის შინაარსმა ამხელებური გაგრძელება უნდა ჰოოს, რადგან წინ ახალი სტარტები, ახალი დასაპყრობი სიმაღლეებია. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა ყოველნაირად იღვწის ჩვენში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის, ამ ზრუნველობას კი ახალი მიღწევებით, ახალი რეკორდებით უნდა ვუპასუხოთ. ამას მოითხოვს დღევანდელობა, ამას მოითხოვს ჩვენი საერთო ოცნებაზრუნავი — ამთავითვე, ვზრდიდეთ მომავალ ოლიმპიელს, გვაყალიბებდეს ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მზნე კომუნიზმის მშენებელი ადამიანები.

საქმეთა გამოაჩინა



XXVI სკკპ ყრილობის ხელსაჩეჩილი

გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის კომპლექსის კოლექტივს წელს გეგმით სახელმწიფოსათვის ექვს თვეში უნდა მიეყიდა 1400 ტონა რძე. ეს დავალება თავის დროზე დიდი გადამეტებით შესრულდა. ყოველ ფურზე ნაცვლად 1.200 კილოგრამისა მიღებულია 1.350 კილოგრამი რძე. მეცხოველეებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა რაიონული საბჭოს დეპუტატი თამილა იორამაშვილი, რომელმაც ცხრა თვის დავალება გაანაღდა.

სურათზე: თ. იორამაშვილი.

ვ. ბენბიურის ფოტო.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან საავტომობილო ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. შრომითს პაექრობაში დაწინაურდა სამოტორო სამქროს მლარავი ბადრი კახაძე.

სურათზე: ბადრი კახაძე.

ო. ბერიჩიკიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პირველია საქართველო რაიონი

მიმდინარე წლის მეორე-კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით თბილისის საქართველოს რაიონმა გამარჯვა საქართველოს დედაქალაქის რაიონებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიის საქართველოს რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება. შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ზ. შ. მესხიშვილმა რაიონის წარმომადგენლებს გადასცა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რაიონის მშრომელებმა, რომლებიც შეჯიბრებაში ჩაებნენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად, იკისრეს გადიდებული ვალდებულება — გამოუშვან 8,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია, მეათე ხუთწლედის დავალება შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავისათვის. (საქინფორმი).

თბილისი ზაფხულში

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მიწებზე, რომლებიც გათავისუფლდა ჯარტოფილის, საადრეო ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდეგ, ხელმეორე თესვა დაიწყო.

ზაფხულის თესვა საშუალებას მოგვცემს ავანაზღაუროთ გვალვით გამოწვეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები. ეს დანაკარგები იგი დიდია: ადიგენის, დმანისის, ბოლნისისა და ახალქალაქის რაიონების მეურნეობებში 470 ჰექტარზე დაიღუპა ან დაზიანდა ჯარტოფილის ნათესები. დასავლეთ საქართველოს მეურნეობებში 1000 ჰექტარზე გვალვამ დააზიანა ბოსტნეული. ბოსტნეულის— გვიანი კომბოსტოს, ბოლოკის, სტაფილოს, მწვანილის ხელმეორე ნათესები ოთხი ათას ჰექტარზე მიტ ფართობს დაიკავებს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა გარდაბნის რაიონში, სადაც დათესილია უკვე 400 ჰექტარი. ამ დღეებში თესვის კამპანია დაიწყება მარნეულისა და მცხეთის, აგრეთვე რესპუბლიკის დასავლეთი რაიონების მეურნეობებში. მიწათმოქმედები ამბირებენ დამატებით მიიღონ 60 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული, რაც მათ საშუალებას მისცემს არ შეამცირონ მაღაზიებში ბოსტნეულის მიწოდების დონე.

ქალაქი — სოფელს

ძმა ძმისთვისო...

დიდი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ სოფელ ზუდის კოლმეურნეობის წევრები ჭიათურის სამთამადნო კომბინატის დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივზე. აქებენ თავიანთ შეფს და ამბობენ, ყველაფერში მხარში გვიდგასო; კვირაც არ გავა, რომ კოლმეურნეობას არ მოაკითხონო, მისი ყოფა-ცხოვრებით არ დაინტერესდნენ და ჩვენი საჭირბოროტო საკითხები არ გაიზიარონო.

თანაგრძნობის გაწევა, რასაკვირველია, სასიამოვნოა, მაგრამ მარტო საქმეს მაინცა და მაინც ვირაფერს შველის. ეს კარგად ესმით სამთოელებს და სოფელში ხელოვნიერ ჩასვლას ერიდებიან. სულ მოკლე ხანში კოლმეურნეობაში ჯერ 10 კუბური მეტრი ბეტონი, ხუთი ტონა რკინა და 11 ტონა ქვანახშირი მიზიდეს, მერე 230 მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი გაუგზავნეს და თან შეუთვალეს, კიდევ ხომ არაფერი გინდათო. სოფელელებმა მოკრძალებით ითხოვეს, იქნებ მეცხოველეობის ფერმის აშენებაში დაგვეხმაროთო. აბა უარს როგორ იტყოდნენ, ადგნენ და ერთის მაგივრად ორი ფერმა აუშენეს, კოხტა საბაგირო გზა გაუყვანეს და კიდევ უფრო ლამაზი მგზავრთა მოსაცდელი დარბაზითაც დაასაჩუქრეს.

კოლმეურნეობას რა თქმა უნდა, აქვს საკუთარი ტრანსპორტი, მაგრამ დგება პერიოდი, როცა არაჩვეულებრივ ხოლმე. ჰოდა, შეფები არც ამაზე იხეკენ უკან. საჭიროების შემთხვევაში იმდენ მანქანას აძლევენ, რამდენსაც საქმე ითხოვს. უარს თანამომძეებს არც ტექნიკის შეკეთებაზე და მოსავლის აღებაში დახმარებაზე ეუბნებიან.

არ გეგონოთ, ამ საქმეში მარტო დიმიტროველებს ემარჯვოთ. არა, მათ არც ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოების კოლექტივები ჩამორჩნენ. პირველი მათგანი სოფელ სარქველეთელებს კოლმეურნეობას დაუძმობილდა და ბევრი სასიკეთო საქმე იკისრა. აბა რა შეიძლება იყოს იმაზე მეტი სიკეთე, როცა კაცი საშჭედლო სახელოსნოს გიშენებს, საყოფი რაოდენობის სხვადასხვა სახეობის სამშენებლო მასალას, ტექნიკის სათადარიგო ნაწილებს გაწვდის და ყოველწლიურად ორგანიზაციას. ივიწყებს კი არა, ლამის არის გაერთიანების სისტემაში „ზეიყვანონს“. ჰკითხეთ მანდათის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის წევრებს როგორ გაეხარეს, როცა მათ ავტოტრანსპორტელებმა შიდასამეურნეო გზები შეუკეთეს, 500 კუბური მეტრი ინერტული მასალა და 300 ტონა მინერალური სასუქი მიუზიდეს, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ გაერთიანების კოლექტივი სისტემატურად ეხმარება მეურნეობას ტექნიკის შეკეთებასა და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფის საქმეში, ეს დღეისათვის ჩვეულებრივი, რიგითი ამბავია.

არ შეიძლება დამსახურებისაგებრ არ მოვიხსენოთ კარგი შეფობისათვის დარკვეთის საშენ ორგანიზაციის ორჯონიკიძისა და ალინინის სახელობის ტყეგამოსაყენებელი ნაგებობათა ტრესტ „ტყეგამოსაყენებელ ნაგებობა“-ს ტ-ვ ფერადი მეტალურგიის, ზოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში და ტრანსპორტზე ავტომატური მანიპულატორების გამოყენების კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ჩატარება, აგრეთვე ავტომატური მანიპულატორებისათვის საჭირო მაკომპლექტებელი ნაკეთობათა შექმნის სამუშაოთა განვითარება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დაეკისრა დინამიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დამტკიცებული კომპლექსური პროგრამის საფუძველზე მომზადონ პროექტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა მეთერთმეტე ხუთწლედში ავტომატური მანიპულატორების წარმოებისა და დანერგვის შესახებ. ამ პროექტში უნდა განსაზღვროს წარმოებათა ის სახეობანი სახალხო მეურნეობის დარგებში, რომლებიც პირველ რიგში უნდა განახლდეს ტექნიკურად ავტომატური მანიპულატორების საშუალებით ავტომატური მანიპულატორებისა. და მათი მაკომპლექტებელი ნაკეთობების გამოშვებისა და დანერგვის დავალებანი წარმოების ფართო დარგთშორისი კოოპერაციის, მათი ელემენტების უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საფუძველზე; ჩამოყალიბდეს ტექნოლოგიური მოწყობილობის, მათ შორის პროგრამული მართვის მქონე და მანიპულატორებიანი დამშუშავებელი კომპლექსების და-კომპლექტებისადმი მოთხოვნები, რომლებსაც საფუძვლად დაედება შემკვეთთა ეკონომიკურად დასაბუთებული თხოვნა. გათვალისწინებულ იქნეს მოქმედ წარმოებაში მანიპულატორებით აღჭურვილი სანიმუშო-საჩვენებელი ავტომატიზებული უბნებისა და საამქროების შექმნა; დადგინდეს, რომ წარმოებაში მანიპულატორების გამოყენების შედეგად დამატებით მიღებული სახსრების ნაწილი დარჩეს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში და ისინი გამოიყენონ წარმოების სრულყოფისა და მუშაკთა წახალისების მიზნით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტში მიზანშეწონილად ცნო გათვალისწინონ ცალკე სტრიქონად დავალებანი სამინისტროებისადმი ავტომატური მანიპულატორების წარმოებისა და დანერგვის შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დაეკისრა კოორდინაცია გაუწიოს ავტომატური მანიპულატორების შექმნის, წარმოებისა და დანერგვის სამუშაოებს, შექმნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ავტომატური მანიპულატორების საუკეთესო ნიმუშებისა და ამ მანიპულატორებით აღჭურვილი მანქანების, ჩარხებისა და მოწყობილობის კომპლექსების მუდმივმოქმედი გამოფენები, აგრეთვე მოამზადოს წინადადებანი სახალხო მეურნეობის დარგებში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ეფექტიან საშუალებათა გამოყენების შესახებ.

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სკკპ XXV ყრილობის მითითებათა მიხედვით ავტომატური მანიპულატორების წარმოების გადიდებისა და სახალხო მეურნეობის დარგებში მათი ფართოდ გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია ავტომატური მანიპულატორებს ფართო გამოყენების საფუძველზე. ამ დარგში სამუშაოთა ვრცელი, პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების პრობლემის გადაწყვეტას მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მანქანათმშენებელი სამინისტროების სამეცნიერო-კვლევითმა, საკონსტრუქტორო და საწარმოო კოლექტივებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროების ინსტიტუტებმა და ორგანიზაციებმა, ქალაქ მოსკოვისა და მისი ოლქის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ვლადიმირის, ნიკოლაევის, ტულის ოლქებისა და კრასნოიარსკის მხარის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, რათა შეექმნათ და წარმოებაში დაენერგათ ავტომატური მანიპულატორები, რომლებმაც მთელ რიგ საწარმოებში ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტის, წარმოების საერთო კულტურის ამაღლებას.

ამასთან დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მანიპულატორების პროექტების შემუშავებისა და დამზადების ორგანიზაცია და მათი წარმოების მოცულობა ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. მთლიანად არ არის გამოყენებული საბჭოური მეცნიერებისა და მანქანათმშენებლობის არსებული შესაძლებლობანი ამ ტექნიკის გამოშვების გასადიდებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მანქანათსაშენებელი სამინისტროები ჯეროვნად არ აფასებენ მანიპულატორების როლს მოწყობილობისა და საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებაში. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სამინისტროებმა უდისციპლინობა დაუშვეს მანიპულატორების წარმოების გაფართოებისა და მათი მაკომპლექტებელი ნაწარმის დადგენილ დავალებათა შესრულებაში.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი საკმარის კოორდინაციას არ უწევს ამ პრობლემის სამეცნიერო-კვლევითსა და საკონსტრუქტორო სამუშაოებს, რომლებსაც სამინისტროები და უწყებები ასრულებენ. ამის შედეგად ყოველად გაუმართლებლად ხდება მანიპულატორების პროექტების დუბლირება და იხარჯება დიდძალი სახსრები, ხშირად სერიულად უშვებენ კონსტრუქციებს, რომლებიც სათანადოდ არ არის დამუშავებული.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სამრეწველო საწარმოებმა ჯეროვნად ვერ უზრუნველყვეს ავტომატური მანიპულატორების გამოყენება სახალხო მეურნეობის არამანქანათსაშენებელ დარგებში, სადაც საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ხელის შრომის შეცვლის ამოცანა ასევე აქტუალურია. მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტროები საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ იმისათვის, რომ მანიპულატორები გამოყენებული იყოს მოწყობილობისა და მანქანების ავტომატიზაციისათვის, რომლებსაც ისინი აწვდიან შავ და ფერად მეტალურგიას, სოფლის მეურნეობას, მშენებლობას, მსუბუქ და კვების მრეწველობას, სატრანსპორტო სამინისტროებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტომატური მანიპულატორების (სამრეწველო რობოტების) გამოყენებას სახალხო მეურნეობაში წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან გადიდებასა და ფიზიკურად მძიმე და მონოტონური საწარმოო ოპერაციებისაგან ბევრი მუშის განთავისუფლებას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მანქანათსაშენებელი სამინისტროების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ისინი აყოვნებენ ამ სამუშაოებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ავალებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და დამტკიცონ 1981-1990 წლებისათვის ავტომატური მანიპულატორების შექმნისა და ათვისების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა კომპლექსური პროგრამა. ამ პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს მანქანათმშენებლობაში, ქვანახშირისა და მასალათა გაერთიანების კოლექტივი. დარკვეთილებმა ფასდაუდებელი საქმე გააკეთეს, როცა ზუდის კოლმეურნეობას ძალზე კრიზისულ მომენტში 200 ცალი შეფერი და 500 ცალი მაღალი ხარისხის აგური მიაწოდეს. სამთამადნო კომბინატის ავტოსატრანსპორტო საწარმო რომ არა, აბა სად უნდა ეძებნა დამატებით ხუთთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას 3 ტონა საწვავი და ორი ავტომანქანა ინერტული მასალა.

ყველას და ყველაფერს ვერ ჩამთვლი! როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არსებობს ახლა ჭიათურაში ისეთი სამრეწველო საწარმო, რომელიც გვერდში არ ედგეს თავის საშეფო ორგანიზაციას, და, როგორც იტყვიან, არ გრძნობდეს მის მაჯისცემას. საშეფო კოლმეურნეობაზე ზრუნვა ქალაქ ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის უპირველესი საზრუნავი გახდა.

ყველა საშეფო ორგანიზაციას აქვს კარგად მოფიქრებული, გაანალიზებული, დასაბუთებული და პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა. გეგმებით გათვალისწინებული საშეფო დახმარების ღონისძიებათა შესრულება და კონტროლი შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. ვალდებულებებში, რომელსაც ახლა ჭიათურელი მშრომელები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის კისრულობენ, ერთ-ერთ წამყვან პუნქტად სოფლის მეურნეობისათვის აოცილებელი საშეფო დახმარება აღინიშნება.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ძალაძი — სოფელს

ძმა ძმისთვისო...

40-50 ჰექტარ მიწას გიხნავს. აი, მართლაც, ამას ჰქვია ძმა ძმისთვისო...

ახლა მეორის, კალინინელების ამბავი იკითხეთ. ისინი თავის მხრივ წარქვალელ კოლმეურნეებს დამეგობრებიან და მათთვის მეტად საჭირო 2300 მეტრი ბაგირი დაუმზადებიათ, „საჩუქრად“ 13 ტონა ქვანახშირი გაუგზავნიათ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთების შუდმივი ვადები დაუწესებიათ და სხვენოსნობის წესრიგზე მოყვანაში დახმარებიან.

ქ. ჭიათურის ყველა სამრეწველო საწარმოს კოლექტივი ეხმარება სოფელს, მაგრამ მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც დიმიტროველთა, ორჯონიკიძელთა და კალინინელთა გვერდით უნდა მოვიხსენიოთ. აბა როგორ აუარაოთ გვერდი „ჭიათურსახტმშენის“ სამმართველოს კოლექტივს, რომელმაც კიცხელ კოლმეურნეებს სატვირთო ავტომობილის ოთხი ძრავა გადასცა, ექვსი ცალი რკინის ფარცხი დაუმზადა და მრავალი სახეობის სამენი მასალებით მოამარაგა. ქების ღირსია ჭიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების კოლექტივიც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავისი პირადი საქმე კარგად აქვს აწყობილი და, მეორეც, არასოდეს არ ივიწყებს საშეფო მასალათა გაერთიანების კოლექტივი. დარკვეთილებმა ფასდაუდებელი საქმე გააკეთეს, როცა ზუდის კოლმეურნეობას ძალზე კრიზისულ მომენტში 200 ცალი შეფერი და 500 ცალი მაღალი ხარისხის აგური მიაწოდეს. სამთამადნო კომბინატის ავტოსატრანსპორტო საწარმო რომ არა, აბა სად უნდა ეძებნა დამატებით ხუთთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას 3 ტონა საწვავი და ორი ავტომანქანა ინერტული მასალა.

ყველას და ყველაფერს ვერ ჩამთვლი! როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არსებობს ახლა ჭიათურაში ისეთი სამრეწველო საწარმო, რომელიც გვერდში არ ედგეს თავის საშეფო ორგანიზაციას, და, როგორც იტყვიან, არ გრძნობდეს მის მაჯისცემას. საშეფო კოლმეურნეობაზე ზრუნვა ქალაქ ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის უპირველესი საზრუნავი გახდა.

ყველა საშეფო ორგანიზაციას აქვს კარგად მოფიქრებული, გაანალიზებული, დასაბუთებული და პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა. გეგმებით გათვალისწინებული საშეფო დახმარების ღონისძიებათა შესრულება და კონტროლი შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. ვალდებულებებში, რომელსაც ახლა ჭიათურელი მშრომელები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალათ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განიხილონ საკითხები და მიიღონ საჭირო გადაწყვეტილებანი, რათა ეკონომიკურ რაიონებში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნას სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოები, რომლებიც განაზოგადებენ და გაავრცელებენ მოწინავე გამოცდილებას და კოორდინაციას გაუწევენ რაიონების ფარგლებში მანიპულატორებისა და მათ საფუძველზე ავტომატიზებული ტექნოლოგიური მოწყობილობის კომპლექსების შექმნისა და დანერგვის მთელ სამუშაოებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გაძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ საწარმოები და ორგანიზაციები ასრულებდნენ ახალი ტექნიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვის გეგმებსა და დავალებებს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაჩქარებას ავტომატური მანიპულატორების ფართო გამოყენების საფუძველზე. რეკომენდებულია მოკავშირე რესპუბლიკებში ამ სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ჩარხმშენებლობის სამინისტროს, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელებს დაავალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ავტომატური მანიპულატორებისა და მათი მაკომპლექტებელი ნაკეთობების დასამზადებელი სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების მშენებლობის ხაზით, აგრეთვე მოქმედ საწარმოებში ამ ტექნიკის გამოშვების გადიდების საქმეში.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინადადება მიეცათ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ ავტომატური მანიპულატორების დაპროექტების, წარმოებისა და ექსპლოატაციის დარგის სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაევალათ გასწიონ ორგანიზატორული მუშაობა ეკონომიკურ რაიონებში ავტომატური მანიპულატორების წარმოების უზრუნველსაყოფად ფართო კოოპერაციის საფუძველზე. ამ ტექნიკის შექმნისა და ათვისებისათვის მუშაობაში ჩაებან საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები. მკაცრი კონტროლი დაუწესონ ავტომატური მანიპულატორებისა და მათი მაკომპლექტებელი ნაწარმის გამოშვებს საწარმოთა მშენებლობის მიმდინარეობას, ამ ტექნიკის გამოშვების დადგენილ დავალებათა შესრულებას. უფრო ფართოდ გამოიყენონ პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, ლენინგრადის, ვლადიმირის, ნიკოლაევის საოლქო კომიტეტებისა და კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის გამოცდილება ავტომატური მანიპულატორების წარმოებისა და დანერგვის ორგანიზაციისათვის მუშაობაში.

ლენტელილთა თაოსნობა მოქმედებს

პირუტყვის საკვების საკმაო რეზერვების შექმნა ყოველთვის იყო და არის დიდმნიშვნელოვანი პრობლემა. წლეულს იგი განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს. მიმდინარე წელს ხანგრძლივმა გვალვამ მინიმუმამდე შეამცირა ძირითად საპარგულებზე საკვების დამზადების შესაძლებლობა, განსაკუთრებით მთის ზონის მეურნეობებში.

ასეთ პირობებში პირუტყვის საკვების დაგროვების ყველაზე დიდი რეზერვი მერქნანი მცენარეულობაა. მერქნიანთა მწვანე მასა ენერგეტიკულად და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემადგენლობით არ ჩამოუვარდება სხვა სახეობათა მცენარეულობას და აქვს მთელი რიგი დადებითი თავისებურებანი: იგი ნაკლებად განიცდის გვალვის გავლენას და მისი გამოყენება მთელი წლის განმავლობაში შეიძლება.

ბალახოვან და მერქნიან მცენარეულობაში მიმდინარე ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესები თითქმის ერთნაირია. ამიტომ გასაკვირი არ დადებითი გავლენა, რასაც ახდენს პროდუქციის გამოსავალზე, ხარისხზე და ცხოველის ჯანმრთელობაზე მერქნიან მცენარეთა ფოთლიანი და წიწვიანი ახალგაზრდა ყლორტების მწვანე მასისაგან მიღებული ფქვილი კვება და სხვა.

პირუტყვის საკვებად მერქნიანი მცენარეების გამოყენება ძირითადად ორი მიმართულებით ხდება: პირველი, ვარჯის მწვანე მასისაგან და, მეორე, მერქნისაგან სხვადასხვა სახეობის საკვები საფუვარის მიღება. მერქნიანი მწვანე მასით იგულისხმება ფოთლიანი და წიწვიანი წვრილი ყლორტები.

მწვანე მასის მომზადების ერთ-ერთი პერსპექტიული ხერხია მისი დასილოსება, რომლის პროცესშიც საკვები ზოგიერთ ახალ თვისებას იძენს, კერძოდ, მჟავე გემოს, თავისებურ სუნს, რაც ცხოველებს მადას აღუძრავს.

ჩვენი რესპუბლიკის მრავალი მეურნეობა სილოსს ამზადებს კონბებად შეკრული ხის ყლორტებისაგან, ბალახების, ბოსტნეული კულტურების, კარტოფილის ფოჩის ნარეკვებთან ერთად. დასილოსებისას შეკონილ ყლორტებს კუწავენ. ყლორტების დასილოსების ტექნოლოგია არსებითად არ განსხვავდება ჩვეულებრივი დასილოსების ტექნოლოგიისაგან.

საჭიროა, რომ ორმოში ჩასაყრელი დასასილოსებელი მასის ყლორტების ნაკუწს სიგრძე არ აღემატებოდეს 1,5 სანტიმეტრს და მაგრად იტკეპნებოდეს. მასის უკეთ დასილოსებისათვის იყენებენ სხვადასხვა სახეობის საფუარს (რძის მჟავე). ყლორტების დასილოსება უნდა მოხდეს ერთჯერად მისი დამზადების დღესვე; ამისათვის საჭიროა კარგად მოპირკეთებულ ორმოებში დაქუცმაცებული ყლორტების საბოლოო ჩატვირთვისა და დატკეპნის შემდეგ მასის ზედაპირს დავაყაროთ დაჭრილი მწვანე ბალახი, რომლის სისქე 50 სანტიმეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. შემდეგ იგი კარგად უნდა დაიტკეპნოს და დაიფაროს მიწით.

დაქუცმაცებული ყლორტების სილოსად ჩადებისას ყველა წესების დაცვა უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი საკვების მიღებას.

სილოსის ზედაფენის არასაკმაოდ დატკეპნის შემთხვევაში იგი სწრაფად ვითარდება და იწვევს საკვების გაფუჭებას. ყლორტების სილოსს ყვითელი ფერი და მსხლის სუნი უნდა ჰქონდეს. რეკომენდებულია მსხვილფეხა რქიან პირუტყვს დღე-ღამეში მიეცეთ 10-20 კილოგრამი ასეთი სილოსი.

„მწვანე რეზერვის“ ძალა

მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკვებად ტყის მცენარეულობა და წარმოების ნარჩენები

არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლების შეგროვება და მისი საკვებად გამოყენება. მეჩხერ ტყეში ან პარკებში ჩამოცვენილი ფოთლების შესაგროვებლად იყენებენ ცხენის ფოცხებს. წმერ ტყეში ფოთლებს აგროვებენ ხელით (ფოცხებით).

შეგროვების შემდეგ ფოთლებს ახმობენ 20-25 პროცენტ ტენიანობამდე და ყრიან ფარდულებში: ფოთლების შენახვა შეიძლება ძნებში ნამჯასთან (ჩალასთან) ერთად. ამისათვის ჯერ აწყობენ ნამჯას 25-30-სანტიმეტრიან ფენად, შემდეგ — ფოთლების 15-20 სანტიმეტრიან ფენას და ასეთ ფენებად თდგმება ზვინი, რომელიც იფარგლება ნამჯის ფენით. ზვინის სიმაღლე 4-5 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.

ჩამოცვენილი ფოთოლი უკეთესია დაიორთქლოს საკვებსაამქროში ან დასილოსდეს, დაორთქლების შემდეგ გაცივებული საკვები სასურველია შეზავდეს კოპტონით, ჭატოთი და სხვა კონცენტრატებით. შეზავება მიზანშეწონილია მოხდეს დაორთქლების დროს.

ჩამოცვენილი ფოთლები ყველაზე საიმედოდ და ხელმისაწვდომი წესით სილოსდება ადგილად დასასილოსებელ ბალახებთან შერეული. თუ ფოთოლცვენის პერიოდში ბალახები უკვე აღებულია, მაშინ ფოთლების დასილოსება შეიძლება სიმინდთან და ძირხვენებთან, საკონსერვო წარმოების ნარჩენებთან ერთად.

ფოთლის შეგროვება განსაკუთრებით ხშირი ტყის მასივებში შრომატევადია და დიდი ორმის ამოვსება რეკომენდებულ დროში პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ამიტომ ამ დანიშნულებით საჭიროა მცირე, 20-30 ტონა ტევადობის სილოსის საცავების მოწყობა. დაუმუშავებელი ჩამოცვენილი ფოთოლი შეიძლება მიეცეს ძროხას ყოველდღიურად 4-5 კილოგრამამდე, ცხენს — 3-4, ცხვარს — 1 კილოგრამამდე. დაორთქლილი ფოთოლი შეიძლება მიეცეს ძროხას 6-8, ცხენს — 4-6 და ცხვარს — 1,5 კილოგრამამდე. ფოთლებისაგან დამზადებული სილოსს ამავე წესით აძლევენ, როგორც სხვა მასისაგან დამზადებულ სილოსს.

ხის ყლორტების დამზადება და ფოთლის შეგროვება-გამოტანა უნდა ხდებოდეს ამდაგვარად, რომ ტყეს ზიანი არ მიეყენოთ; ამ სამუშაოების ორგანიზაცია შეთანხმებული უნდა იქნეს ადგილობრივ სატყეო მეურნეობებთან, რომელთაც საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელებმა საყვედური გამოთქვეს ახალციხის ქალაქჭაჭრობის, მექანიკური საამქროს, მესამე სამუშაო სკოლის, № 1 შახტის და სხვა შრომითი კოლექტივების მიმართ, რომლებმაც საკვების დამზადების საქმეში მეურნეობისადმი საშეფო დახმარება იკისრეს, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

საკვების დამზადების ტემპი კიდევ უფრო ჩამორჩება წყალთმილას მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ხ. ხაჩატურიანი), აქ წელს გეგმით 2050 ტონა, ხოლო საბრძოლო დავალებით 2847 ტონა სენაჟი უნდა ჩადონ, აქაც დამზადებული აქვთ მხოლოდ 1380 ტონა სენაჟი. დღეში 30 ტონა ბალახს ძლივს ასენაჟებენ. თივის დამზადებაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. თუმცა დიდი ხანია შეუდგენენ ამ საქმეს, მაგრამ ჯერჯერ მხოლოდ 65 ტონა თივა ძლივს დაამზადეს. გეგმა-დავალება კი 2133 ტონას ითვალისწინებს, ეს იმიტომ ხდება, რომ მეურნეობაში საკვების დამზადებაზე შრომისუნარიანთა მესამედიც არ მონაწილეობს.

რაიონში უკვე დაიწყო პურეულის მკა. ბევრგან მოსავლის აღებასთან ერთად ნამჯის დამზადებაზეც მუშაობენ, მაგრამ ისე როდია ყველგან. 29 ივლისისათვის, მაგალითად, სხვილისის საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეული აღებული ჰქონდათ 106 ჰექტარზე, აწყურის საბჭოთა მეურნეობაში — 42 ჰექტარზე. მინდვრიდან ნამჯის გამოზიდვა კი არც ერთ მეურნეობაში არ დაუწყიათ. ამ საქმის გაჭიანურება არა მარტო შეაფერხებს მზრალად ხვნას, არამედ საკვების დანაკარგებსაც გაზრდის. წელს კი, როცა ხანგრძლივი გვალვების შედეგად ისედაც ჭირს საკვების დამზადების გეგმების შესრულება, განა შეიძლება ამ საქმისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება?!

გ. ლომსაძე,
ახალციხის რაიონული გაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

ბალახი ხმება, საკვებდამამზადებლები არ ჩქარობენ

ახლა განსაკუთრებით ცხარე დღეებია სოფლად, მიმდინარეობს ბოსტნეულისა და სხვა კულტურების დამუშავება, მორწყვა, საკვების დამზადება, მარცვლეულის მოსავლის აღება.

ამ საქმის დაყოვნება, თუნდაც ერთი დღით გადადება აუნაზღაურებელ ზარალს იწვევს. რაიონის საკვებმომპოვებლები იბრძვიან 61.000 ტონა უხეში და წვნიანი საკვების დამზადებისათვის, მაშინ როცა გეგმით 44.500 ტონაა გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ ჰექტარული ამინდების გამო წელს ნათესი ბალახებისა და ბუნებრივი სათიბების გამოსავლიანობა დაბალია, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა უმრავლესობა სწრაფი ტემპით დებს სენაჟს. ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ახალციხის სახელმწიფოსანერგე მეურნეობა-ტექნიკუმის (დირექტორი გ. ჩაჩანიძე) მშრომელები, რომლებმაც სენაჟისა და სილოსის ჩადების გეგმა-დავალება უკვე შეასრულეს და ახლა თივისა და ნამჯის დამზადებაზე შუაობენ. საკვების დამზადება საერთო-სახალხო საქმედ გამოაცხადეს სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავჯდომარე ვ. გოზალიშვილი).

ამ კოლმეურნეობაში ყოველდღიურად 1000 ტონაზე მეტ ბალახს ასენაჟებენ. პირველი 400-ტონიანი ორმო ოთხ დღეში გაავსეს და გადახურეს. სხვა ასეთივე ორმოების გავსებასაც ამდენივე დრო დასჭირდა. 18 სამუშაო დღეში აქ 878 ტონა სენაჟი ჩადეს, რითაც სენაჟის დამზადების გეგმა უკვე შეასრულეს, მაგრამ მათი საბრძოლო ამოცანა 2597 ტონას ითვალისწინებს.

აქ ასევე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სილოსის დამზადება. გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 520 ტონიდან უკვე ჩადეს 251 ტონა სილოსი. დაიწყეს აგრეთვე მარცვლეულის მოსავლის აღება და ნამჯის დამზადება. უკვე გათიბეს 40 ჰექტარამდე საშემოდგომო ხორბალი და ქერი. პირველი განაღეწა 75 ტონა მარცვლეული გაიგზავნა სახელმწიფო ბელეში, ხოლო 64 ტონა ნამჯა მიზიდეს მეცხოველეობის ფერმებთან.

საკვების დამზადება ასევე ორგანიზებულად მიმდინარეობს მუხსის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, აგარის, მინაძის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ ამ საშური საქმისთვის ყველგან როდი ჩქარობენ.

საკვების დამზადების ტემპი მეტად დაბალია ჯამალის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი პ. ქოსიანი). დღეისათვის აქ დამზადებული აქვთ მხოლოდ 53 ტონა თივა, ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 200 ტონისა, და 4 ტონა ნამჯა, სილოსის დამზადებას კი ჯერაც არ შესდგომიან. ამის მიზეზი ის არის, რომ აქ მეტად დაბალ დონეზეა შრომის ორგანიზაცია. მეურნეობაში გაერთიანებული ექვსი სოფლის აგროგანყოფილებიდან მხოლოდ ორ აგროგანყოფილებაში მუშაობდნენ სენაჟის ჩადებაზე, ამ საქმეში სხვა განყოფილებები არ მონაწილეობდნენ.

სწორედ ამის გამო იყო, რომ სოფელ საძელის აგროგანყოფილებაში ერთი 300-ტონიანი სასენაჟე ორმოს გავსებას 15 დღეს მოუნდნენ ტექნოლოგიური ვადებით გათვალისწინებული 3-4 დღის ნაცვლად. იმავე მიზეზით ორ კვირას გაჭიანურდა ერთი 400-ტონიანი სასენაჟე ორმოს გავსება სოფელ დიდი პამაჯის აგროგანყოფილებაში. სენაჟის ჩადების ტექნოლოგიური ვადების ასეთი დარღვევა აუარესებს მის ხარისხს. საკვები ზედმეტად ხურდება და კარგავს ყუათიანობას, ამასთან დრო არ ითმენს, გვალვების გამო სათიბებში ბალახი სწრაფად ხმება და იბრუკება, თიბვაც შეუძლებელი ხდება.

დანაკარგების თავიდან ასაცილებლად მეურნეობის ხელმძღვანელება ვერ უზრუნველყოფენ საკვების დამზადების ტემპის დაჩქარებას, სრულ უსუსურობას იჩენენ ამ საქმეში, მათ შემოგვჩივლეს, მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი მეურნეობას განუდგა. ბევრი შრომისუნარიანი კაცი რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობს, ხოლო სარფს გამოდევნებული 118 შრომისუნარიანი მუშა მეურნეობიდან უნებართვოდ რესპუბლიკის გარეთ საშოვარზეა წასულიო. მათ შორის კომეხისტებიც არიან: ს. მალბასიანი, ს. ბაბოიანი, ს. ხაჩატურიანი, ა. მურადიანი. ეს სუსტ ხელმძღვანელობაზე მეტყველებს. მეურნეობის დირექცია (დირექტორი პ. ქოსიანი) და პარტიული კომიტეტი (მდივანი ღ. შირხანიანი) სოფლის ორგულთა მიმართ ლიბერალობას იჩენენ და მათ საქციელს სათანადო შეფასებას არ აძლევენ.

სოფელ ორაღლის აგროგანყოფილებაში პირველ დღეს მხოლოდ ექვსი ავტომანქანა დაქუცმაცებული ბალახი ჩაეყარათ სასენაჟე ორმოში. მეორე დღეს კი, როცა ჩვენ ვამოწმებდით, დღის 12 საათისათვის ისევ არ დაეწყოთ მუშაობა. გაჩერებული იყო ტექნიკაც, მხოლოდ ხუთიოდე ახალგაზრდა მხრებზე ცელებით სოფლის ნაპირას ელოდებოდა სხვებს. ისინი კი კარგა ხანს არ ჩანდნენ. მუშაობას ალბათ დღის 1 საათზე თუ შეუდგებოდნენ.

დამრიგებლობას — ფართო გზა

გეგეჭკორი. ამჟამად რაიონის 200-ზე მეტი ისეთი სახელმოხვეჭილი და კვალიფიციური სპეციალისტი, როგორიც არიან გმირი დედა, სოციალისტური შრომის გმირი მეჩაიე მ. ჩიქვანაია, ლენინის ორდენოსანი მეჩაიე ლ. ბართაია, ორდენოსანი მესიმინდეები მ. და გ. მოსძეები და მრავალი სხვა, დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ პროფესიული გამოცდილება და ოსტატობა გაუზიარონ, საქმის სიყვარული და ერთგულება ჩაუნერგონ ახალგაზრდებს.

ამას წინათ პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა და მოიწონა სოფლის მეურნეობის საწარმოოტექნიკური უზრუნველყოფის გეგეჭკორის რაიონული საწარმოო გაერთიანების ხარატის, სერგეეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს დეპუტატის ვ. კუდავას მიერ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და პროფესიული დაოსტატებისათვის გაწეული მუშაობა.

ბიუროს სხდომაზე დადებითთან ერთად აღინიშნა, რომ რაიონის პირველადმა პარტორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ დამრიგებლობის მოძრაობა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მასობრივი ფორმა გახდეს, ამ მოძრაობაში ჩაბმული არ არის ყველა მოწინავე სპეციალისტი, წარმოების ნოვატორი, კვლავ შეიმჩნევა ფორმალიზმის ელემენტები. ცალკეული დამრიგებლები ახალგაზრდების მხოლოდ პროფესიულ დოსტატებას სჯერდებიან და სათანადოდ არ ზრუნავენ მათი ზნეობრივი აღზრდისათვის და სხვ.

განხილულ საკითხზე ბიურომ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც დასახულია ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები და საშუალებები.

რ. სილაგავა.

ქართული მინანქარი

სამეცნიერო- ტექნიკური გაერთიანების „საქსამშენმასალების“ ლაბორატორიაში გამჭირვალე მრავალფეროვანი მინანქარი შეიქმნა. იგი ეულკანური ქანების — ბაზალტის, ანდეზიტის, პერლიტის გადამუშავებით მიიღეს. მინანქარი მაღალი თერმული მდგრადობით და დეკორატიულობით გამოირჩევა.

მინანქრის დასამზადებლად საჭირო მასალა — ეულკანური ქანები საკმაო რაოდენობით მოიპოვება მთელ ამერკავკასიაში. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ ბუნებრივ მინას, რომელიც განაპირობებს კერამიკული ნივთიერებათა ზედაპირზე დამინანქრემის ინტენსიურობას, მის სარკისებურ ელვარებას.

პერლიტის გამოყენება კერამიკულ მრეწველობაში სიახლეა. ქართველმა მეცნიერებმა იგი დაამუშავეს, გამოსცადეს და უკვე დანერგეს თბილისის, ლენინგრადის და საბჭოთა კავშირის სხვა კერამიკულ ქარხნებში.

კერამიკის მრეწველობის განვითარების საქმეში რესპუბლიკის მეცნიერთა მიღწევები ცნობილია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისევე მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით საქართველოში რამდენჯერმე ჩამოვიდა მეცნიერთა ჯგუფი სლოვაკიის ქალაქ კოშიცედან, სადაც თავმოყრილია პერლიტის დამუშავებული მთავარი საწარმოები. ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს ურთიერთკავშირი აქვთ დამყარებული საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ორგანიზაციებთან.

ქ. კოშიცის კერამიკული ქარხნების საწარმოო გაერთიანების დირექტორის გეზა ლანგერის აზრით, საქართველოსთან შემოქმედებითი საქმიანი ერთიანობა საშუალებას იძლევა შემცირდეს კერამიკული მასალების შემოწოდება სხვა ქვეყნებიდან, შეიერჩის ნახევარფაბრიკატებისა და ნედლეულის ტექსტური.

დღეისათვის სამეცნიერო ტექნიკური გაერთიანების „საქსამშენმასალების“ კერამიკულ ლაბორატორიაში მუშავდება ახალი რეცეპტები მრავალფეროვანი მინანქრის დასამზადებლად. მას ძირითადად არაგაკის საბადოს პერლიტისა და მარნეულის და ბაკურიანის ანდეზიტისაგან იღებენ.

ინფორმაციის სალარო

ერთი დღე რაიკომის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მეთოდიკურ კაბინეტში



ოთახში იდეალური სიჩუმეა, ჩამწკრივებულ პატარა მაგიდებზე საწერი ქაღალდები და საწერი კალამი აწყვია; ორგვლივ კედლებზე ლამაზად გაწყვილი თაროებზე ვ. ი. ლენინის ტომები ალაგია. იქვეა სტენდები, სქემები, დიაგრამები... თითოეულს თავისი ფუნქცია აქვს, ყველა ერთად კი პარტიული ცხოვრების მშენებლობის საუნჯეს, სარკეს, სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

...დაასახელეთ პარტიული მშენებლობის ნებისმიერი მომენტი, და ხელთ გექნებთ ყველა მასალა წიგნის, ბროშურის, ცნობარის თუ ფოტოდოკუმენტის სახით. ზოგი რამ პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ისტორიიდან შეგიძლიათ აქვე მინიატიურულ კინოეკრანებზე იხილოთ.

ეს არ არის ჩვეულებრივი სამუშაო კაბინეტი, წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა, ეს არის ინფორმაციის თავისებური სალარო, რომლითაც ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს უნდა ისარგებლოს პარტიულმა აქტივისტმა, კომიტეტის თუ ბიუროს წევრმა. ძირეული პარტიული ორგანიზაციის, პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელმა, თითოეულმა კომუნისტმა, თუ კი მას სურს ჰქონდეს თანამედროვე პარტიული ცხოვრების, მშენებლობის იდეური წრთობის სწორი ალიო და ორიენტაცია.

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მეთოდიკური კაბინეტის მოღვაწეობა ახალი როდია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების მუშაობაში, მაგრამ ისეთი სრულყოფილი სახე, მდიდარი ტექნიკური აღჭურვილობა, მუშაობის ორგანიზაცია, როგორც ეს პარტიის სიღნაღის რაიკომთან შექმნილ მეთოდკაბინეტს აქვს, ბევრისათვის უცხოა.

— ჩვენ ამ სისტემას, პარტიული მუშაკისათვის ესოდენ საჭირო სკოლას, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში გავიცანით. ბევრი რამ უშუალოდ გადმოვიტანეთ, ზოგიც ჩვენ დავამატეთ, — გვითხრა რაიკომის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ, მეთოდსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ცაბუტაშვილმა და იქვე დასძინა—თუმცა, ზოგი რამ ჯერ კიდევ გასაკვირებელი და შესავსებია...

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტის მეთოდიკურ საბჭოში 15 კომუნისტია გაერთიანებული. ესენი არიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაობის კარგი გამოცდილების მქონე ადამიანები. იგი თავის საქმიანობას პარტიის რაიკომის ბიუროს მიერ დამტკიცებული წლიური პერსპექტიული გეგმის მიხედვით წარმართავს. ამ გეგმას საოკეანესო მოსაზრებებით, წინადადებებით გადაგზავნიან ორგანიზაციებიდან. ... ...

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინური ჭეშმარიტების ჟურნალი

საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკათა საავტორო კორესპონდენტთა ... ბიბლიოთეკა

დავიცვათ ტყეები ანძრისაგან

გვესაუბრება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ი. ჭალაგანიძე

— დიდი გვალვის შემდეგ მოსულმა ხანმოკლე წვიმებმა რამდენადმე შეამცირა ტყის ხანძრების გაჩენის საშიშროება, მაგრამ ცეცხლისაგან ტყეების საიმედო დაცვის პრობლემა კვლავ მწავავე იქნება ზაფხულის ბოლომდე, — თქვა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა შ. ი. ჭალაგანიძემ.

— თქვენ გგონიათ, გვალვა გრძელდება?

— ისეთი მკაცრი გვალვის დრო�ი, როგორც წლეულს იყო, ალბათ ... ემუქრება არა იმდენად ... და ტენის უკმარობა, რამდენადაც ზოგიერთი ადამიანის უდაგერობა.

ზაფხულის პერიოდში ჩვენი ... ტყეებს ცეცხლზე საშინელი ... ჰაყავს, ყველაზე სუსტი ... ეგრეთ წოდებული დაბლარი ... დროს იღუპება მომავალი ... ახალგაზრდა ხეები და ამონაყარი, და თუ ხანძრის დროზე ... ჩაქრობილება არ ხერხდება, იგი ... ვრცელდება და ყველაფერს ანადგურებს ტყეში: ფლორაც და ფაუნასაც.

... ადამიანი ხანძარიც კი, რომელიც ასობით და ათასობით ჰექტარ საუკუნოვან ტყეებს სპობს, ... თავქარიანი ადამიანის მიზეზით დაფიქრებლად გადაგდებული ... ნამწვავი იწყება, ხოლო ... ბრალეულობრივად უდარდელ მოგზაურთა მიერ ტყეში დანთებულ ... ბოლოზე ხომ ლაპარაკიც კი ... .

— ... მოდის, რომ ტყის ხანძრებს გაჩენა უმთავრესად ... სიცხის და გვალვისა კი არა, ... ადამიანის დაუდეგრობის, უფრო ... ადამიანურ-ბრალეული დაუდეგრობის ბრალია?

— მართალს ბრძანებთ. და ამას ... ადასტურებს საბოლოოდ ... ტყეებზე ... ეს ... ...



ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივებს შორის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია.

ქარხნის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია პირველხარისხოვანი სპორტული ბაზები და დარბაზები, სტადიონი და აუზი. ქარხნის დასახლებაშიც მოეწყო სხვადასხვა ტიპის ბაზები. აქ თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იმართება სპორტული ღონისძიებები.

სურათებზე თქვენ ხედავთ ქარხნის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრების ამსახველ მომენტებს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ოლიმპიადა საუცხოო, ჩინებული იყო!

— ამბობენ ჩვენი სტუმრები, ამერიკელი ტურისტები.

საქართველოში ჩამოვიდნენ უცხოელი ტურისტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან „ოლიმპიადა-80“-ის საგზურებით. ჯგუფშია ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა შტატის სამოცდაათი მოქალაქე. საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა ზოგიერთ მათგანს.

ემი რობი, ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინის უმაღლესი სკოლის სტუდენტი:

— გულით მინდოდა ჩამოვსულიყავი თქვენს ქვეყანაში, გავცნობოდი საბჭოთა ადამიანებს, — თქვა ე. რობიმ. — ძალიან მიყვარს სპორტი და გამიხარდა, რომ ესესაც ვიშოვე მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის საგზური. აღფრთოვანებული ვარ საბჭოთა ადამიანობის გულთბილობითა და სტუმართმოყვარეობით.

მაკ კიდი და ბილ ვაიტჰერსტი, იურიდიული კანტორის ადვოკატები:

— მოსკოვის ოლიმპიადა? შესანიშნავი!

—სამწუხაროდ, ვერ დავესწარით „ოლიმპიადა-80“-ის გახსნას, მაგრამ მისმა ფახურვამ ჩვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა,— თქვა ბ. ვაიტჰერსტმა,— ის, რასაც ამერიკელები ვუყურებდთ ოლიმპიადის მართვას, ანუ ორგანიზაციას, ყველაზე მაღალი ქულების ღირსია. ჩვენ დავესწარით შეჯიბრებას მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კრივში, კალათბურთში, კანოეთი ნიჩბოსნობას. ყველა შეჯიბრება ზუსტად დანიშნულ დროზე იწყებოდა, ყოველგვარი შეუყოვნების გარეშე ტარდებოდა. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ უწესო მუშაობა ტრანსპორტისა, რომლითაც ტურისტები ერთი სპორტული ობიექტიდან მეორეზე გადავყავდით. გულდასაწყვეტია, რომ მთელი რიგი ქვეყნების სპორტსმენებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს ასეთ დიდებულ სპორტულ ფორუმში.

— არასოდეს დაგვავიწყდება ოლიმპიური დათუნიას გაფრენა და მისი გამოსათხოვარი ცრემლები, — დასძინა მ. კიდმა,— ჩვენ თან წავიყვანეს გულითადი მოგონებები თქვენს ქვეყანასა და საბჭოთა ადამიანებზე.

საფეხბურთო „დესანტი“ დედაქალაქში

თბილისელ ფეხბურთის მოყვარულთა მრავალათასიან „დესანტს“ მიიღებს 9 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის მთავარი სპორტული ასპარეზი — ლუჟნიკის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მათი უმრავლესობა მოსკოვში გაემგზავრა პროფკავშირული საგზურებით სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურ მატჩზე დასასწრებად, ტურისტული ჯგუფები საქართველოს დედაქალაქის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიურომ დაკომპლექტება.

რა თქმა უნდა, მარტო ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესებს როდი ითვალისწინებენ ბიუროს თანამშრომლები. რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა მორის განსაკუთრებით პოპულარულია დასვენების დღის მარშრუტებით მოგზაურობა. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ასობით ხელშეკრულება გაფორმდა წარმოება-დაწესებულებებთან მოკლევადიან მოგზაურობაზე და ექსკურსიათა მოსაწყობად.







უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტები მისალმებ გამოცდებს აბარებენ.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: ერთ-ერთ აუდიტორიაში აბიტურიენტები წერითს გამოცდას აბარებენ; პროფესორი ამბროსი რუხაძე აბიტურიენტს განუმარტავს დავალებას; „თეთრი ლაქები“ რომ არ დარჩეს...

გ. ნასუცრიშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტო-ქრონიკა).

გსურს ისწავლო მოსკოვში?

მხოლოდ 203 განცხადებაა შეტანილი 244 ადგილზე... ამდენი ადგილია საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც წელს, ისევე როგორც გასულ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას შეუძლია შევიდეს კონკურსგარეშე. 50 უმაღლესი სასწავლებელი. მზადაა მიიღოს საქართველოს 244 ქალიშვილი და ჭაბუკი, ამასთან მისცეს მათ საშუალება ჩაბარონ მისაღები გამოცდები რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

უნდა იცოდეთ, თქვა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა, მეტი წილი სპეციალობებისა, რომელთა დაუფლება შეიძლება ამ უმაღლეს სასწავლებლებში, ძალზე საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის. ისეთი სპეციალობები კი, როგორიც არის „თბილისგრეტიკული პროცესების ავტომატიზაცია“, „ელექტრონულ-სამედიცინო აპარატურა“, „საავტომობილო გზებზე მართვის ავტომატიზებული სისტემები“, „უქსოვი საფეიერო მასალების წარმოება“, „ტყავისა და ბეწვის გამოყენა“, „წიგნთმცოდნეობა“. „მენადირეობა“ სულაც არ არის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს სტუდენტებს ელიან მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიგრაფიული, ავტოსაგზაო, სანჟინერო-სამშენებლო ინსტიტუტები, მოსკოვის ნ. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, საინტორიო-საარქივო, ჰიდრომელიორაციის, სამედიცინო, ნ. სიმაშკოს სახელობის სტომატოლოგიური ინსტიტუტები, საერთერინარო აკადემია, პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის სხვა უმაღლესი სასწავლებები. საქართველოს წარგზავნილებს შეუძლიათ ისწავლონ ლენინგრადის, ყაზანის, როსტოვის, დნეპროპეტროვსკის, ბელორუსიის უნივერსიტეტებში, ლენინგრადის, მინსკის, კიევის, რიგის ოდესის, ნოვოსიბირსკის, ნოვოჩერკასის, ერევნის, ვორონეჟისა და სსრ კავშირის სხვა სამეცნიერო და სამრეწველო ცენტრების სხვადასხვა პროფილის ინსტიტუტებში. ქვეყნის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებლებში სწავლა დიდი პატივია, მით უმეტეს რომ ბევრ მათგანთან ჩვენ რესპუბლიკის ტრადიციული მეგობრობა აკავშირებს. ბევრ თვალსაჩინო ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელს მიუღია უმაღლესი განათლება რუსეთში. ბუნებრივია, გვსურს, რომ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდეს საუკეთესო ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასწავლებლად გაიგზავნებიან ისინი, ვინც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებს შეფასებით „კარგი“ და „ფრიადი“. ამასთან უპირატესობა ენიჭებათ იმათ, ვინც აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე მოხდილი აქვს სამხედრო სამსახური. მისაღები გამოცდები მშობლიურ ენაზე შეიძლება ჩაბარონ რესპუბლიკის შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალობათა მიხედვით. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რუსული ენის ცოდნას, სხვათაშორის, წერითი გამოცდა ამ საგანში სავალდებულოა ყველასთვის, მიუხედავად იმისა, თუ რა სპეციალობა აირჩია.

რიგ სპეციალობებზე აბიტურიენტების ნაკლებობაა, ხოლო ზოგიერთ სპეციალობაზე არც ერთი განცხადება არ არის შეტანილი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საინჟინრო-ტექნიკურ სპეციალობებთან დაკავშირებით. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატის თხოვნა და გამოცხადებინა დამატებითი მიღება ქვეყნის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში. 10_13 აგვისტოს ინსტიტუტში მიიღებენ აბიტურიენტების დოკუმენტებს, ხოლო 14-20 აგვისტოს მრეწყობა შესაბამისები გამოცდები.

წელს სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკების პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში გამოიყო ადგილები საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული სკოლების კურსდამთავრებულთა მისათვის. პირველ შემთხვევაში აბიტურიენტებმა გამოცდა უნდა ჩაბარონ სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მეორე შემთხვევაში კი გამოცდებს ჩაბარებენ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში „აზერბაიჯანის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარმომადგენლების დასწრებით.

ყველა, ვინც შედის ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, „ოქროს“ ფონდიდან ანაბავს ვალდებულია საერთო-საცხოვრებლითა და სტიპენდიით საერთო საფუძველზე. (საქინფორმი).

ცისფერ ბილიკებზე

როგორც ცნობილია, დნეპროპეტროვსკში მომდინარე საბჭოთა კავშირის მოცურავეთა პირად-გუნდურ პირველობაში თბილისელმა ირინე გერასიმოვამ (სპორტსაზოგადოება „განთიადი“) ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალ ცურვაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა (59,50). ამავე დღეს ვაჟთა ასეთსავე შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმო ლენინგრადელმა იური სერედამ (52,90).

შეჯიბრების მეორე დღეს კიდევ ერთხელ პროგრამიდან გამარჯვებულნი გამოვლინდნენ. 400 მეტრზე თავისუფალ ცურვაში ქალთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა ხარკოველმა ალინა ემელიანენკომ (4.26,81), ვაჟთა შორის კი კიეველმა სვიატოსლავ სემიონოვმა (3.59,55).

400 მეტრ დისტანციაზე კომბალექსურ ცურვაში ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხარკოველმა ოლგა ჩუდაკოვამ — (5.02,79), ხოლო ვაჟებში — ლენინგრადელმა ალექსანდრე ლუკიანოვმა (4.34,73). 4X100 მეტრზე ესტაფეტაში ქალთა შორის (თავისუფალი სტილი) ყველას აჯობეს დნეპროპეტროვსკელებმა (4.05,43), ვაჟთა შორის კი მოსკოველებმა (3.35,99).

ჭადრაკის ამგვები

იტალიის ქალაქ აბანო ტერმეში, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების პორტიშისა და ჰიუბნერის მატჩი, მოხდა მესამე პარტიის დამთავრება. მეტოქენი ამჯერადაც ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 1,5:1,5.

სულ ამ მატჩში მეტოქეებმა 12 პარტია უნდა ითამაშონ, გაიმარჯვებს ის, ვინც 6 ქულაზე მეტს დააგროვებს.

ასე ფიქრობს კიბანი

ევროპის № 1 ფეხბურთელის კიგანს აზრით, მსოფლიოს იდეალური ნაკრები უკანასკნელი 20 წლის შეჯიბრებების გათვალისწინებით ასე გამოიყურება.

იაშინი (საბჭოთა კავშირი), ზარა (ავსტრია), ფოგთსი, ბეკენბაუერი (ორივე გფრ), კროლი (ჰოლანდია), პლატინი (საფრანგეთი), კრუიფი (ჰოლანდია), პელე (ბრაზილია), ბეტეგა (იტალია), კემპესი (არგენტინა), სიმონსენი (დანია).

მოგზაურობა, ალმოჩენები

ვილემ ბარენცის ნაკვალევზე

შარშანდელ ზაფხულს საბჭოთა ექსპედიციამ, რომელსაც ისტორიკოსი დიმიტრი კრავჩენკო ხელმძღვანელობდა, ახალ მიწაზე აღმოაჩინა ხომალდის ნაშთები და გამოსაზამთრებელი სადგომი, რომელიც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეკუთვნოდა ჰოლანდიელი მეზღვაურის ვილემ ბარენცის ექსპედიციას, რომელიც 1596 წელს მოეწყო.

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე კრავჩენკომ განაცხადა, საჭიროა ჰოლანდიელი მეცნიერების დახმარებით დადგინდეს, შეესაბამება თუ არა ნომალდეს ქიმზე შემორჩენილი ლურსმნები იმ ლურსმნებს, XVI საუკუნეში ჰოლანდიაში რომ ამზადებდნენო. საჭიროა აგრეთვე ხომალდის გარსის ნატეხებისა და იმ ხის მასალის შედარება, რომლითაც იმ დროს ჰოლანდიელები გემებს აგებდნენ.

ახალი მიწის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირის მახლობლად, ყინულის ნავსადგურში დაღუპულ ვილემ ბარენცის გემის ნაშთების აღმოჩენა კრავჩენკომ რამდენიმე წლის წინათ ჩაიფიქრა. ისტორიაში კარგად არის ცნობილი ბარენცის 1594, 1595 წლების ექსპედიციების შედეგები, მაგრამ ბარენცისადმი მიძღვნილ არც ერთ ნაშრომში არავითარი ცნობა არ არის მისი უკანასკნელი მოგზაურობის შესახებ.

— ვილემ ბარენცი ბევრ რამეში აღმოჩნდა პირველმკვლევარი, — თქვა კრავჩენკომ, — მან შეძლო რუკაზე პირველს მოეხაზა ახალი მიწის დასავლეთ სანაპიროს შედარებით სწორი კონტური (უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულ რუკებზე დღემდე არსებობს ბარენცის მიერ დარქმეული სახელწოდებანი), პირველმა მოახდინა შემოდგომა-ზამთრის მეტეოროლოგიური დაკვირვებანი. ამასთან, ბარენცმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ახალი მიწა პირველად რუსმა ზღვისპირეთელებმა აღმოაჩინეს და აითვისეს. სხვათა შორის, ისინი ყოველთვის მზად იყვნენ სიხარულით დახმარებოდნენ ჩამოსულ ადამიანებს, ბარენცსაც ყური უნდა ეგდო მათი რჩევისათვის, მაგრამ ეს არ ქნა და ამით საბედისწერო შეცდომა დაუშვა. იმ დროს, როცა სახელგანქმული ჰოლანდიელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ახალი მიწის არცოდნა, ზღვისპირეთელი უკვე დაცურავდნენ იმ ადგილებში და გამოზამთრების გამოცდილებაც ჰქონდათ. მჯერა, რომ ბარენცის ექსპედიციიდან შემორჩენილ ყველა ნივთს დიდი სამეცნიერო და ისტორიული ღირებულება აქვს.

აღმოსავლეთ ინდოეთში უმოკლესი გზის აღმოჩენის იმედით ახალი მიწის გარშემოვლა ბევრმა მამაცმა მეზღვაურმა სცადა. ვილემ ბარენცი პირველი დასავლეთევროპელია, რომელმაც მაღალ განდეგილს მიაღწია. იმ ვარაუდით, რომ ყინულის ნავსადგურის მეჩიჩებს უთუოდ უნდა შეეშალა ხელი ყინულით შებორკილი ბარენცის ხომალდის ღია ზღვაში გაყვანისათვის, კრავჩენკოს ექსპედიცია მის საძებრად გაეშურა.

შარშან ივლისში ექსპედიციის თერმეტი მონაწილე, რომელშიც ძირითადად მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები და სტუდენტები, წყალქვეშა ცურვის კლუბის „დელფინის“ წევრები შედიოდნენ (მათ შორის ორი ქალიშვილიც იყო), სურვილის კონცხზე მივიდა. აქ ისინი პირველ მოულოდნელობას წააწყდნენ.

მაგრამ ვიდრე ამაზე მოგითხრობდეთ, ჯერ ისტორიულად ცოტა უკან დავიხიოთ. ცნობილია, რომ ბარენცის უკანასკნელ ექსპედიციაში ჰოლანდიის ორი ხომალდი მონაწილეობდა. შპიცბერგენს რომ შემოუარეს და დათვის ყუნძლუთთან დაბრუნდნენ, ხომალდები გაიყარნენ. ბარენცმა ახალ მიწას მიაშურა, მეორე ხომალდმა კი კურსი კვლავ შპიცბერგენისაკენ აიღო. ბარენცის ეკიპაჟის თხუთმეტი წევრიდან ახალ მიწაზე სიცოცხლისათვის ბრძოლის ურთულეს პირობებს ცამეტმა გაუძლო. ორი ნავით ისინი თავიანთი ამხანაგების სახელებლად გაეშურნენ. ამ ლაშქრობის დროს კიდევ სამი მთგანი, მათ შორის ვილემ ბარენციც დაიღუპა. სად არის დაკრძალული ეს მამაცი მეზღვაური? ივანოვის ყურის რაიონში ექსპედიციამ აღმოაჩინა ნახევრად დაშლილი ბორცვი. ეჭვი ძველი ბოძი, რომელზეც მკაფიოდ ჩანს დიდი ლათინური ასოები „ბარ“ და ციფრი 55. რა არის ეს, ბარენცის საფლავი? მაგრამ რატომ აწერია ასეთი ციფრი? ხომ ცნობილია, რომ ბარენცმა ამ ასაკს ვერ მიაღწია? სურვილის კონცხზე ექსპედიციამ სულ სამი სამარხი აღმოაჩინა. შესაძლოა, მათში განისვენებს იმ ადამიანთა ნეშტი, ახალი მიწიდან ნაგებით ლაშქრობის დროს რომ დაიღუპნენ. საინტერესოა ისიც, რომ ეს სამარხები რუს ზღვისპირეთელებს არ უნდა ეკუთვნოდეთ. ისინი მიცვალებულს დამწრალ მიწაში კი არ მარხავდნენ, ქვებით ფარავდნენ.

ახალ მიწაზე კრავჩენკოს ექსპედიციის მუშაობის პირველივე დღე წარმატებით აღინიშნა — აღმოაჩინეს გამოსაზამთრებელი სადგომი, ძელურის ნაწილი, ბუზრის ნაშთები, გამომწვარი ქვები და კერამიკული დოქის ნატეხები, რომელზეც შესანიშნავად არის შემორჩენილი ამსტერდამის გერბი. დოქის ეს ნატეხი გახდა კრავჩენკოსათვის იმის საბუთი, რომ სწორედ ვილემ ბარენცის ექსპედიციის ზამთრის საღგომი აღმოაჩინა. ზამთრის სადგომის ირგვლივ ექსპედიციის წევრებმა ასამდე ნივთი იპოვეს, კომპასის ნაწილი, მუშაკეტის კონდახი, ბუზრის ნამსხვრევები, სხვადასხვაგვარი ხელსაწყოები, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ნაგლეჯები.

მალე ხომალდის ნაშთებიც აღმოჩნდა. ყინულის ნავსადგურის ფსკერიდან მყვინთავებმა ხომალდის ოქდაათზე მეტი ნამსხვრევი ამოიღეს. ამასთან მისი ზოგიერთი დეტალი ნაპირზეც იპოვეს, მიწაში ღრმად ფლი ჩაფლული. კრავჩენკოს აზრით, ისინი ხმელეთზე ტალღას შეეძლო გამოერიყა. ამასთან, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ახალი მიწის ნაპირი ზღვიდან მონალექი მიწის გამო ყოველწლიურად დაახლოებით ერთი სანტიმეტრით მატულობს. ასე რომ, ოდესღაც ეს ნამსხვრევები შეიძლება წყალქვეშ ყოფილიყო.

მყვინთავებმა ფსკერიდან ხომალდის ყველა ნაშთი ვერ ამოიღეს, მაგრამ ექსპედიციის მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ ყინულის ნავსადგური აგერ უკვე ოთხი საუკუნეა ინახავს ვილემ ბარენცის ხომალდის ნაშთებს.

ვ. მოლჩანოვი,
ახალი ამბების საააგენტო.



საუცხოო ორგანიზაცია, მაღალი მიღწევები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ლოზანაში გამართა სადილი მსოფლიო პრესის წარმომადგენლთა პატივსაცემად.

საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ხ. ა. სამარანჩმა აღნიშნა „მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის შესანიშნავი ორგანიზაცია და სპორტული მიღწევების მაღალი დონე“. „ამას მოწმობს, — თქვა მან, — ასპარეზობაზე დამყარებული 36 მსოფლიო რეკორდი. ჩემი აზრით, მოსკოვში ყველაფერი გაკეთდა, რათა საუკეთესო პირობები ჰქონოდათ სპორტსმენებს და იმათ, ვინც აშუქებდა ასპარეზობას, აგრეთვე მაყურებლებს. მინდა ვთქვა ისიც, რომ მოსკოველები სპორტის დიდი მოყვარულები და დამფასებლები არიან“.

ტელევიზია

9 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმები: „ფიზკულტურული სალამი“, „თამაში, შთაგონება, იმედი“. 10.55 — „ცეროდენას ეკრანი“, 11.15 — კონცერტი შ. დავიდოვის ნაწარმოებებიდან (ფ.), 11.45 — „ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სანამ საათი რეკავს“ (ფ.), 13.00 — ლიტერატურული ჯადოცანა მოსწავლეთათვის — „ოსკარ უაილდი“ (ფ.), 13.40 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 14.15—„დღეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეა“ (მ.), 14.30 — „გავეფრთხილდეთ ერთიანულ საუნჯეს“ (ფ.), 14.50 — ფულგიპლიკაციური ფილმი. 15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — „ცხოვრებთა სამყაროში“ (მ.), 16.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ეკუმარჯელს გულსაფდილობას“ (ფ.), 17.35 — კინოპროგრამა, 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე თბილისის „დინამო“-დინეტიკის „შახტიორი“. ფინალი (მ.), 19.55 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „მშვენიერი ხარ, ოლიმპიადავ!“. პრემიერა (მ.), 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აგარაკზე“. 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „12 საუკეთესო ფილმი“ — „ველოსიპედის ეკმაგაციბლები“.

მეორე პროგრამით: 16.35 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ბნელდრები“. პირველი სერია, 17.40 — განცხადებები, 17.45 — კონცერტი, 18.25 — ფულგიპლიკაციური ფილმი, 18.45 — მხატვრული ფილმი „თერმეული იმედი“ (ქართულ ენაზე).

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამატებით აცხადებს სტუდენტთა კონკურსგარეშე მიღებას საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოთვლილი უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტზე: 1. პოლიტიკური ეკონომია, 2. ბიოქიმია.

მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი: 1. წიგნთმცოდნეობა და წიგნის გაჭრობის ორგანიზაცია. 2. პოლიგრაფიული მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტი: 1. ისტორიულ-არქივმცოდნეობა, 2. სახელმწიფო დაწესებულებებში დოკუმენტმცოდნეობა და სამმართველო შრომის ორგანიზაცია.

მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი: 1. საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტი: 1. საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი: 1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა.

მინსკის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი: 1. დეფექტოლოგია.

ნოვოსიბირსკის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი: 1. კავშირგაბმულობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის საბუთების მიღება იწარმოებს 9-დან 13 აგვისტომდე; მისაღები გამოცდები მოეწყობა 14-დან 20 აგვისტომდე.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე ყველა საგანში მიიღებენ ნიშნებს, „ხუთს“ ან „ოთხს“.

დაუწერლებითი ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღებ კომისიას (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, მაღლივი კორპუსი).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რეპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 1940 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, სამამულო ომის ვეტერანი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი,

კაპიტონ კონსტანტინეს ძე ძვანია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.